

სტრატეგიული გეგმა (2017-2020წწ.)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი
(ორგანიზაციის დასახელება)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებთან ერთობლივად, იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა. - დეპარტამენტის მოხელეთა მიერ „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმი“-სა და „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ განმარტებითა და პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და იურიდიული ინფორმაციების მიწოდების შედეგად, დევნილთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება ეკონომიკური ინტეგრაციის გააქტიურებისა და დასაქმების ხელშეწყობა, დევნილ ბავშვთა და მოზარდთა ევროპულ საერთაშორისო და ადგილობრივ დასასვენებელ ბანაკებში გაგზავნა.

(პრიორიტეტის¹ დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა)

პროგრამა - (2017-2020წწ.)

(პროგრამის დასახელება დაგანხორციელების სავარაუდო ვადები)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე -

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობები, საგანმანათლებლო და სხვა სახის ინფორმაციის დეფიციტი. დევნილ ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის დაბალი დონე.

პროგრამის აღწერა:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებთან ერთობლივად, ქ. თბილისში და საქართველოს რეგიონებში მდებარე დევნილთა

კომპაქტურად განსახლების ობიექტებში შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა, არსებული პრობლემების გამოამჟღავნება და ანალიზი;

- დევნილებზე მოპოვებული ინფორმაციის სპეციალურ პროგრამაში ატვირთვა;
- დევნილთა პრობლემების მოგვარების მიზნით, ინფორმაციის საიტზე განთავსება. აღნიშნული ქმედებების არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების ჩართვა არსებული პრობლემების გადასაჭრელად;
- დევნილთა უფლებების დაცვის მიზნით, მათი იურიდიულ საკითხებში გაცნობიერებასთან დაკავშირებით, პერიოდული ღონისძიებების ჩატარება;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებთან ერთობლივად, სურსათმწარმოებელ ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტის დამყარება, მათი საქველმოქმედო მოღვაწეობაში ჩართვა, სასურსათო ნობათის შეგროვება და სადღესასწაულო თარიღებში დევნილთა ოჯახებისათვის მიწოდება;
- ესპანურ საქველმოქმედო ინტეგრაციისა და სოლიდარობის ფონდ „ფინსოლ“-თან ურთიერთობის გაღრმავება, მათ მიერ შემოთავაზებულ პროექტებსა და პროგრამებში (დევნილი ბავშვების დასვენება ესპანურ მოხალისეთა ოჯახებში, დევნილებისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა და სხვა) აქტიური მონაწილეობის მიღება;

მოსალოდნელი შედეგები:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ -ეკონომიკური და საბინაო საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;

ქ. თბილისსა და საქართველოს რეგიონებში განსახლებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გადაცემა;

- დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის ამსახველ ბაზაში ინფორმაციის განთავსება და პერიოდულად მისი განახლება;

- დეპარტამენტის მოხელეთა მიერ „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმი“-სა და „დევნილთა საცხოვრებლით

უზრუნველყოფის წესის“ განმარტება, პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და იურიდიული ინფორმაციის მიწოდების შედეგად, დევნილთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება;

- დასაქმების მიზნით, ორგანიზებული ჩასახლების ობიექტებში მცხოვრებ დევნილთათვის ქ. თბილისში და საქართველოს რეგიონებში მდებარე წარმოებებსა და დაწესებულებებში არსებულ ვაკანსიებზე პერიოდულად ინფორმაციის მიწოდება;

- არადევნილ თანატოლებთან კულტურულ, სპორტულ და საგანმანათლებლო ჩართვის შედეგად, დევნილი ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირების გაადვილება, მათში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ინტელექტისა და მსოფლმხედველობის გაფართოება.

შედეგების შესრულების შეფასების კრიტერიუმები:

აფხაზეთიდან დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დონის ამაღლება, უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირება, კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, დევნილ ბავშვთა და მოზარდთა საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაფართოება.

დეპარტამენტის თავმჯდომარე

კონსტანტინე კუჭუხიძე